



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 143/3

19/04/2017

„საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №136/3 ბრძანებით დამტკიცებულ პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების, 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 13 აპრილის №5878 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №136/3 ბრძანებით დამტკიცებული პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის მე-17 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მთავარი სპეციალისტი 4“;

ბ) მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) წამყვანი სპეციალისტი 2

გ) უფროსი სპეციალისტი 1“;

გ) მე-3 პუნქტის:

გ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მთავარი სპეციალისტი 4“;

გ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 1 მაისს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

